საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 46^2–46^4 მუხლები:

„მუხლი 46^2. უკანონო სააღმზრდელო საქმიანობა

სააღმზრდელო საქმიანობა „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე ან იმავე კანონით განსაზღვრული ფილიალის სააღმზრდელო საქმიანობა „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

მუხლი 46^3. სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა

სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

მუხლი 46^4. სააღმზრდელო საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შეუსრულებლობა

1. სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააღმზრდელო საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობა –

გამოიწვევს გაფრთხილებას.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–44^3, 44^5, 44^7–46^4, 48-ე, 49-ე, 50^1, 51-ე–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2–მე-60, 60^3–61^1, 63-ე–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–81-ე, 82^1, 82^2, 84-ე–86-ე, 87^1–89^3, 91^2, 91^3, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152^2, 152^3, 153-ე, 153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–154^2, 155^1–156-ე, 157^1–158^1, 159-ე, 159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^1, 172-ე, 172^4–172^6, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{12} და 174^1 მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1, 175^2, 177^8, 177^9, 177^{11}–178-ე, 179^1–179^3, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 182-ე, 183-ე, 187-ე–187^2, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6, 197^1 და 197^2 მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლის 38-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„38. ამ კოდექსის 44^2, 44^5, 44^7–44^{12} და 46^2–46^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5362-IIს